



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დადგენილება №113

ქ. ბათუმი

30 ნოემბერი, 2017 წ.


ბსუ-ში საზაფხულო/ზამთრის სკოლის ჩატარების დებულების
დამტკიცების შესახებ

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი
პუნქტისა და ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ში საზაფხულო/ზამთრის სკოლის ჩატარების
თანდართული დებულება დანართი 1-ის შესაბამისად.
2. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს
და ფაკულტეტებს.
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი



მერაბ ხალვაში

ბსუ-ში „საზაფხულო/ზამთრის სკოლის“ ჩატარების დებულება

მუხლი 1. ძირითადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან „ბსუ“) „საზაფხულო/ზამთრის სკოლის“ (შემდგომში „სკოლა“ ან „პროექტი“) ჩასატარებლად ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების მიზნით შიდა კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესს.

2. სკოლის მიზანია უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო პოტენციალის განვითარება.

მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება

1. სკოლის წარმართვის მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით (თუკი ბსუ-ს ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი ფინანსური რესურსი) ცხადდება კონკურსი, რომლითაც განისაზღვრება კონკურსის ჩატარების ვადები, შესაბამისი მიმართულება, დაფინანსების ზღვრული ოდენობა, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა ინფორმაცია, კონკურსის საჭიროებიდან გამომდინარე.

2. საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

ა) საკონკურსო განცხადებას (შედგენილი ამ დებულების დანართი 1-ის შესაბამისად);

ბ) სკოლის პროგრამას, საჭირო მატერიალურ რესურსს და დაფინანსების მოცულობას (ბიუჯეტს) და სკოლის განხორციელების გეგმა-გრაფიკს (შედგენილი ამ დებულების დანართი 2-ის შესაბამისად);

გ) სკოლის ორგანიზატორების/თანაორგანიზატორების და ტრენერების და ძირითადი მონაწილე პერსონალის (ადგილობრივი ან/და მოწვეული უცხოელი/უცხოეთში მოღვაწე პროფესორის/დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირ(ებ)ის) CV-ებს;

დ) სკოლაში მონაწილე სტუდენტების შესახებ ინფორმაციას (ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო წელი, აკადემიური მოსწრება).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია (გარდა განცხადებისა) წარმოდგენილი უნდა იქნეს დალუქული კონვერტით, უნივერსიტეტის კანცელარიის საშუალებით. ვადის დარღვევით წარმოდგენილი საკონკურსო განცხადება მიღებასა და განხილვას არ ექვემდებარება.

4. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ, საკონკურსო განცხადება დალუქულ კონვერტთან ერთად უნივერსიტეტის კანცელარიის მიერ გადაეცემა საკონკურსო კომისიას, რაზედაც შედგება მიღება-ჩაბარების აქტი.

მუხლი 3. სკოლის საორგანიზაციო ჯგუფი და პერსონალი

1. სკოლის ორგანიზატორი (ხელმძღვანელი) შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური ან/და სამეცნიერო პერსონალი. უპირატესობა მიენიჭება უცხოეთის საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულების, ან უცხოეთში მცხოვრები ქართველი პროფესორის/მკვლევარის თანაორგანიზატორობით წარმოდგენილ პროექტს.

2. სკოლის საორგანიზაციო ჯგუფის წევრი (მონაწილე) შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური ან/და სამეცნიერო პერსონალი, ბსუ-ში მოწვეული სპეციალისტი, ასევე უნივერსიტეტის ემერიტუსი და უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტები.

3. გამარჯვებული „საზაფხულო/ზამთრის სკოლის“ საორგანიზაციო ჯგუფის წევრმა ან ტრენერმა თუკი უარი განაცხადა პროექტში მონაწილეობაზე, სკოლის ორგანიზატორი

უფლებამოსილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე სხვა მონაწილის/ტრენერის კანდიდატურა წარუდგინოს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (მათი კომპეტენციის შესაბამისად). ახალი კანდიდატურის თანხმობის შემთხვევაში მასთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

4. სკოლაში მონაწილეობის სხვა შემთხვევები რეგულირდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

მუხლი 4. საკონკურსო კომისია

1. გადაწყვეტილებას საზაფხულო სკოლის შერჩევის შესახებ იღებს რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისია. ამავე ბრძანებით განისაზღვრება კომისიის უფლებამოსილების ვადა და ფარგლები.

2. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს პირი:

ა) რომელიც არის სკოლის მონაწილე (მათ შორის ორგანიზატორი, თანაორგანიზატორი, ტრენერი);

გ) რომელიც არის პროექტში მონაწილე პირის ნათესავი (პირდაპირი ხაზის ნათესავი; მეუღლე, მეუღლის და-ძმა და მისი პირდაპირი ხაზის ნათესავი; აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა; და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები).

3. პირი ვალდებულია ოფიციალურად აცნობოს რექტორს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებებისა და თვითაცილების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია კომისიის წევრის (ექსპერტის) ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ცნობილი გახდება შერჩეული პროექტის დამტკიცებამდე, რექტორი უფლებამოსილია იმსჯელოს ამ კომისიის წევრის შეფასების გაუქმებაზე და შესაბამისად მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება გამარჯვებული პროექტის შესახებ.

მუხლი 5. კომისიის მუშაობის წესი

1. კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით და კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ დებულებას და კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის სამართლებრივ აქტს.

2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 წევრისა. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხოლო კომისიის მდივანი აწარმოებს კომისიის სხდომის ოქმებს.

3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თითოეული სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

4. კომისია წარმოდგენილ პროექტებს აფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

საზაფხულო/ზამთრის სკოლის მიზნები და ამოცანები, მათი მიღწევის გზები, სკოლის აკადემიური და სამეცნიერო მიმართულების აქტუალურობა, დროის, ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების გამოყენების შესახებ ინფორმაციის ოპტიმალურობა, საქართველოს ან უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისა და უცხოელი სპეციალისტის ჩართულობა, თანაორგანიზატორისა და თანადაფინანსების არსებობა. (დანართი 3)

5. გადაწყვეტილება სკოლის (პროექტების) შერჩევის შესახებ მიიღება ღია კენჭისყრის გზით. ყოველ პროექტს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად და კომისიის თითოეული წევრი (ექსპერტი) ხმას აძლევს თითოეულ პროექტს. გამარჯვებულად გამოცხადდება და დაფინანსდება ის პროექტი, რომელიც დააგროვებს კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობას.

6. კომისიის გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც უფლებამოსილია:

ა) დაამტკიცოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების მიხედვით გამარჯვებული პროექტი;

ბ) დასაბუთებული ბრძანებით არ დაამტკიცოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების მიხედვით გამარჯვებული პროექტი და გამოაცხადოს ხელახალი კონკურსი;

გ) არ დაამტკიცოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება და დაუბრუნოს მოტივირებული შენიშვნებით იმავე ან გადასცეს სხვა საკონკურსო კომისიას;

7. გამარჯვებული პროექტის არ გამოვლენის ან კონკურსის ჩაშლის შემთხვევაში ბსუ-ს რექტორი უფლებამოსილია გამოაცხადოს ხელახალი კონკურსი.

მუხლი 6. სკოლის ადმინისტრირება

1. სკოლის ადმინისტრირება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ, რაც გულისხმობს შემდეგი სახის პროცედურებს:

ა) სკოლის დაფინანსებისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი თანხის არსებობის შემთხვევაში კონკურსის გამოცხადებას, ჩატარებას და გამარჯვებული (დასაფინანსებელი) პროექტის გამოვლენას;

ბ) გამარჯვებულის სკოლის პროექტის პერსონალთან (მონაწილეებთან) შესაბამისი ხელშეკრულებების (ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით) გაფორმებას და პროექტის ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებას;

2. სკოლის ორგანიზატორი (ხელმძღვანელი) ვალდებულია სკოლის დასრულებისთანავე წარუდგინოს:

ა) პროგრამული ანგარიში - ბსუ-ს რექტორს;

ბ) ფინანსური ანგარიში - ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

მუხლი 7. სკოლის ხანგრძლივობა და დაფინანსება

1. სკოლის განხორციელება, როგორც წესი, დაგეგმილი უნდა იყოს ერთი საბიუჯეტო წლის ფარგლებში (შესაბამისი წლის არაუადრეს 10 იანვრისა და არაუგვიანეს 15 დეკემბრისა).

2. სკოლის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 7 დღეზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს.

3. სკოლის პერსონალზე გასაცემი შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს:

ა) ორგანიზატორზე (ხელმძღვანელზე) - სკოლის ბიუჯეტის 20%-ს;

ბ) საორგანიზაციო ჯგუფის სხვა წევრზე - სკოლის ბიუჯეტის 10%-ს;

4. სკოლის/პროექტის ფარგლებში შემენილი ქონება რჩება უნივერსიტეტის საკუთრებაში.

5. პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით, ამ დებულების აღსრულების მიზნით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გამოსცეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი (აქტები).

(მიუთითეთ უნივერსიტეტში დაკავებული თანამდებობა)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოგიდგენთ საზაფხულო/ზამთრის სკოლის პროექტს „-----“

მიმართულებით.

განცხადებას თან ერთვის:

ბ) სკოლის პროგრამას, საჭირო მატერიალურ რესურსს და დაფინანსების მოცულობას (ბიუჯეტს) და სკოლის განხორციელების გეგმა-გრაფიკს (შედგენილი ამ დებულების დანართი 2-ის შესაბამისად) ----- ფურცელი;

გ) სკოლის ორგანიზატორების/თანაორგანიზატორების და ტრენერების და ძირითადი მონაწილე პერსონალის (ადგილობრივი ან/და მოწვეული უცხოელი/უცხოეთში მოღვაწე პროფესორის/დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირ(ებ)ის) CV-ები ----- ფურცელი;

დ) სკოლაში მონაწილე სტუდენტების შესახებ ინფორმაცია (ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო წელი, აკადემიური მოსწრება) ----- ფურც.

პატივისცემით,

(ხელმოწერა)

თარიღი: --/ --/201 წ.

საზაფხულო/ზამთრის სკოლის პროექტის ფორმა

ნაწილი 1

1.1 აპლიკანტის (ფიზიკური პირი) საკონტაქტო ინფორმაცია

სახელი/გვარი _____
პირადი ნომერი _____
ტელეფონი _____
ელ-ფოსტა _____
მისამართი _____

1.2 ინფორმაცია საზაფხულო/ზამთრის სკოლის თანაორგანიზატორის შესახებ (არსებობის შემთხვევაში)

ორგანიზაციის სრული სახელწოდება	
მისამართი	
ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი	
ორგანიზაციის ვებგვერდი	
საკონტაქტო პირი	ტელ. ნომერი
	ელ. ფოსტა
	ფაქსი
ქვეყანა	
ქალაქი	

ნაწილი 2

2.1 ინფორმაცია საზაფხულო/ზამთრის სკოლის შესახებ

სკოლის სტატუსი (ადგილობრივი, საერთაშორისო)

სკოლის სახელწოდება

სკოლის თემატიკა

სკოლის დაწყებისა და დასრულების თარიღი _____

(წელი, თვე,
რიცხვი)

სკოლის მონაწილეთა საერთო რაოდენობა (დააზუსტეთ
ლექტორების/პედაგოგებისა და სტუდენტების რაოდენობა)

მოთხოვნილი თანხის ოდენობა

ლარებში _____

თანადაფინანსების ალტერნატიული წყარო (არსებობის შემთხვევაში)

3.1 საზაფხულო/ზამთრის სკოლის პროექტი

3.1.1. საზაფხულო/ზამთრის სკოლის ძირითადი მიზნები და ამოცანები
(არაუმეტეს 300 სიტყვისა)

3.1.2. საზაფხულო/ზამთრის სკოლის აქტუალობა
(არაუმეტეს 200 სიტყვისა)

3.1.3. საზაფხულო /ზამთრის სკოლის მოსალოდნელი შედეგები

